

არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის საკუთრებაში გადაცემა

საჭირო დოკუმენტაცია:

1. ბინის ორდერი ან კანონიერი სარგებლობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი (დედანი ან ასლი);
2. საარქივო ცნობა მუნიციპალური არქივიდან (ბათუმის ქ. N17);
3. სამკვიდრო მოწმობა (დედანი ან ასლი);
4. განმცხადებლის და ორდერში მითით. პირების პირადობის დამ. დოკუმენტი (ასლი);
5. დაბადების მოწმობის ასლი ან ამონაწერი სამოქ. რეესტრიდან;
6. წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში);
7. საჯარო რეესტრიდან ორი ცნობა- ტექ. აღრიცხვის არქივიდან მონაცემების და ასევე უძრავი ნივთის რეგისტრაციის შესახებ;
8. სასამართლო გადაწყვეტილება (არსებობის შემთხვევაში);
9. ფართობის შიდა აზომვითი საკადასტრო ნახაზი -2 ეგზემპ. (მითითებული უნდა იყოს რამდენ სართულიანია ბინა , რომელ სართულზეა საპრ.ბინა, ასევე ნახაზებზე დააფიქსირეთ: დამხმარე, საცხოვრებელი, საერთო ფართი და უფლებამოსილი პირის ხელმოწერა);
10. ქორწინების მოწმობის ასლი ან ამონაწერი სამოქ. რეესტრიდან (საჭიროების შემთხვევაში);
11. გარდაცვალების მოწმობის ასლი ან ამონაწერი სამოქ. რეესტრიდან;
12. სანოტარო აქტი - განცხადება წილის დათმობაზე;
13. საერთო საცხოვრებლების შემთხვევაში - სარგებლობის დამადასტურებელი აქტი (მეზობლების დასტური) ნოტარიუსიდან;
14. სხვა დოკუმენტები საჭიროების შემთხვევაში
15. **შენიშვნა:** პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლისა და სამოქალაქო რეესტრის მიერ გაცემული შესაბამისი მოწმობების გარდა, ყველა წარმოდგენილი ასლი უნდა იყოს სათანადო წესით ნოტარიულად დამოწმებული, ხოლო არაქართულ ენოვანი ნებისმიერი დოკუმენტი - სათანადო წესით ნათარგმნი ქართულ ენაზე.

ვადები:

1. აღმასრულებელი ორგანო 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან.
2. დოკუმენტაციის არასრულად არსებობის შემთხვევაში ხდება ხარვეზის დადგენა. განმცხადებელს დამატებითი დოკუმენტაციის შემოსატანად ეძლევა 15 სამუშაო დღე; თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღმასრულებელი ორგანო გამოიტანს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
3. აღმასრულებელი ორგანოს მიერ საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის შესახებ განცხადება განიხილება და გადაწყვეტილება მიიღება განცხადების წარდგენიდან 15 დღეში.

საკუთრების უფლების მოწმობა

1. კანონიერი მოსარგებლის განცხადების დაკმაყოფილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო გასცემს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლის საკუთრებაში გადაცემის დამადასტურებელ დოკუმენტს - საკუთრების უფლების მოწმობას და დამოწმებულ საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის შიდა საკადასტრო აზომვით ნახაზს.
2. კანონიერ სარგებლობაში არსებულ საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ ფართობზე საკუთრების უფლების წარმოშობისათვის აუცილებელია საკუთრების უფლების მოწმობის საფუძველზე უფლების სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია.